საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3749/01
14/04/2022

3749-01-2-202204141142

სს „ბუქსი ჰესს“

ელ.ფოსტა: z.samsonidze@gmail.com

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 30 მარტის N7350 წერილი, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუქსიეთში, მდ. გუბაზეულზე 10 000 მ^3-ზე მეტი მოცულობის კაშხლის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროექტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „ბუქსი ჰესი“ ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლიდან. სათავე წყალმიმღები კვანძის შემადგენლობაშია კაშხალი. მაქსიმალური შეტბორვის შემთხვევაში, კაშხლის შეტბორვის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 35 000 მ^3-ს. ასევე მოწყობილია და ექსპლუატაციაშია ბიოლოგიური გაწმენდი ნაგებობა.

გაცნობებთ, რომ ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ო” ქვეპუნქტის თანახმად, **წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა** ექვემდებარებოდა ეკოლოგიურ ექსპერტიზას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე